

ჯანმრთელობის დაცვა

საქართველო

2021

მოკლე მიმოხილვა

Made with infogram

სარჩევი

საქართველოს განვითარების ამსახველი ზოგიერთი ინდიკატორი 3

ადამიანის განვითარების იდექსი (HDI) 3

გენდერული უთანასწორობის იდექსი (GII) 4

მდგრადი განვითარების მიზნები 7

დემოგრაფია 9

შობადობა 9

ბუნებრივი მატება 10

სიკვდილიანობა 12

დედათა და ბავშვთა ავადობა და სიკვდილიანობა 13

ანტენატალური მეთვალყურეობა 15

საკეისრო კვეთა 16

აბორტი 18

დედათა სიკვდილიანობა 20

მკვდრადშობადობა 21

0-5 წლამდე ასაკის ბავშვთა ავადობა და სიკვდილიანობა 22

მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება 26

იმუნიზაცია 29

ინფექციური ავადმყოფობები 31

COVID-19 29

წითელა 33

ცოფი 34

ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელება 34

ჰეპატიტი C 35

აივ-შიდსი 36

ტუბერკულოზი 37

მალარია 38

არაგადამდები დაავადებები 39

სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებები 39

შაქრიანი დიაბეტი 41

რესპირაციული სისტემის ქრონიკული დაავადებები 41

ავთვისებიანი ახალწარმონაქმნები 42

ტერმინთა შემოკლებები 46

Made with infogram

საქართველოს განვითარების ამსახველი ზოგიერთი ინდიკატორი

ადამიანის განვითარების იდექსი (HDI)

ადამიანის განვითარების ინდექსი (HDI) წარმოადგენს ადამიანის განვითარების სამი ძირითადი მიმართულების ერთგვარ კრებით საზომს გრძელვადიანი პროგრესის შესაფასებლად: ხანრგძლივი და ჯანმრთელი სიცოცხლე, ცოდნის მოპოვების ხელმისაწვდომობა და ცხოვრების ღირსეული დონე.

ადამიანის განვითარების ინდექსი (HDI), საქართველო, 2000-2019



http://hdr.undp.org/en/countries/profiles/GEO

ადამიანის განვითარების ინდექსი, ქვეყნების შედარება, 2019



http://hdr.undp.org/en/countries/profiles/GEO

Made with infogram

გენდერული უთანასწორობის იდექსი (GII)

2010 წელს HDRO-ის მიერ შემოღებულ იქნა გენდერული უთანასწორობის ინდექსი (GII), რომელიც ასახავს გენდერულ უთანასწორობას სამი მიმართულებით:

1	რეპროდუქციული აქტივობა	დედათა სიკვდილიანობა და მოზარდთა შობადობის მაჩვენებელი
2	უფლებები და შესაძლებლობები	პარლამენტში ქალების მიერ დაკავებული ადგილების წილი; საშუალო/უმაღლესი განათლების მქონე ქალების და კაცების წილი
3	ეკონომიკური აქტივობა	შრომით ბაზარზე წარმოდგენილი კაცების და ქალების რაოდენობრივი შეფარდება

გენდერული უთანასწორობის ინდექსის საშუალო წლიური მატების % 2005-2019[1] წლების პერიოდში



http://hdr.undp.org/en/content/dashboard-5-socioeconomic-sustainability-0

[1] *უარყოფითი მნიშვნელობა მიუთითებს იმაზე, რომ უთანასწორობა შემცირდა მითითებული პერიოდის განმავლობაში*

Made with infogram

გენდერული უთანასწორობის ამსახველი მაჩვენებლები, საქართველო და მაღალი HDI მქონე ქვეყნები, 2019

		საქართველო	მაღალი HDI მქონე ქვეყნები
დედათა სიკვდილიანობა		36.0	56.0
მოზარდთა შობადობის მაჩვენებელი		46.6	33.6
პარლამენტარი ქალები (%)		16.0	24.4
საშუალო განათლების მქონე პირები (%)	ქალი	97.4	68.9
	კაცი	98.6	74.5
დასაქმებულები (%)	ქალი	57.8	57.8
	კაცი	78.7	75.6

კვალიფიციური შრომა წარმოადგენს სამუშაოთა იმ სეგმენტს, რომლის შესრულებისთვის აუცილებელია სპეციალიზებული ცოდნის არსებობა, რაც, რუტინული სამუშაო ფუნქციებისგან განსხვავებით, უფრო რთული ფიზიკური ან გონებრივი სამუშაოს შესრულების შესაძლებლობას იძლევა. მისთვის დამახასიათებელია უმაღლესი განათლება, ტრენინგების და მიღებული გამოცდილების შედეგად მიღწეული ცოდნის მაღალი დონე და, შესაბამისად, მაღალი ანაზღაურება.

კვალიფიციური შრომის მაჩვენებელი (%), 2010-2018



http://hdr.undp.org/en/content/dashboard-5-socioeconomic-sustainability-0

Made with infogram

ქვეყნის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინდიკატორს სამეცნიერო კვლევებსა და განვითარებაზე გაწეული ხარჯების ოდენობა წარმოადგენს, რომელიც გამოიანგარიშება, როგორც სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, უნივერსიტეტების, სხვადასხვა კომპანიების და სახელმწიფო დაწესებულებების მიერ სამეცნიერო კვლევებზე გაწეული დანახარჯების წილი (უცხოური ინვესტიციების ჩათვლით) ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტიდან. ამ მაჩვენებლით (0,3%) საქართველო,123 ქვეყანას შორის, 83-ე ადგილს იკავებს.

სამეცნიერო კვლევებსა და განვითარებაზე გაწეული ხარჯები (მშპ %), 2010-2017



http://hdr.undp.org/en/content/dashboard-5-socioeconomic-sustainability-0

ქვეყნის განვითარების ამსახველი მაჩვენებლები, 2019



	მსოფლიო*	საქართველო
ადამიანის განვითარების ინდექსი (HDI)	0.737	0.812
უთანასწორობასთან შეჭიდული ადამიანის განვითარების ინდექსი (IHDI)	0.587	0.716
გენდერული განვითარების ინდექსი (GDI)	0.980	0.980
გენდერული უთანასწორობის ინდექსი (GII)	0.436	0.331
სიღარიბის მრავალგანზომილებიანი ინდექსი (MPI)	0.108	0.001
მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის ზოგადი ინდექსი	58	72

*სიღარიბის მრავალგანზომილებიანი ინდექსი შედარებულია განვითარებადი ქვეყნების მაჩვენებელს

http://hdr.undp.org/en/content/dashboard-5-socioeconomic-sustainability-0

Made with infogram

მდგრადი განვითარების მიზნები

2015 წელს „ათასწლეულის განვითარების მიზნები"-ს (Millennium Development Goals - MDGs) ნაწილობრივ მიღწევის შემდეგ, გასული 15 წლის წარმატებების შენარჩუნების და შემდგომი წინსვლის მისაღწევად გაეროს სამიტზე „მდგრადი განვითარების მიზნები (მგმ) 2030 წლისათვის" (Sustainable Development Goals - SDGs) იქნა მიღებული.

SDG-ის ზოგადი პროგრესის შესაფასებლად, შემუშავებულ იქნა ე.წ. SDG-ის ზოგადი ინდექსი, რომელიც წარმოადგენს ყველა მიზნის შესრულების შეჯერებულ მაჩვენებელს. SDG-ის ზოგადი ინდექსით საქართველო 58-ე ადგილს იკავებს 166 ქვეყანას შორის და 1.4%-ით ჩამორჩება რეგიონის საშუალო მაჩვენებელს.

მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის ზოგადი ინდექსი, 2019



https://dashboards.sdgindex.org/static/countries/profiles/Georgia.pdf

Made with infogram

1.1 SDG ინდიკატორების გაეროს მდგრადი განვითარების გადაწყვეტილებათა ქსელის შეფასებითი მნიშვნელობები, საქართველო, 2019

	შეფასება	არსებული მდგომარეობა	ტენდენ-ცია
SDG3 მიზანი 3 - კარგი ჯანმრთელობა და კეთილდღეობა			
დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებელი (100 000 ცოცხალშობილზე)	25.0		
ნეონატალური სიკვდილიანობის მაჩვენებელი (1000 ცოცხალშობილზე)	5.9		
5 წლამდე სიკვდილიანობის მაჩვენებელი (1000 ცოცხალშობილზე)	9.8		
ტუბერკულოზის ინციდენტობა (100 000 მოსახლეზე)	80		
აივ ინფექციის ინციდენტობა (1000 მოსახლეზე)	0.2		
არაგადამდები დაავადებებით გამოწვეული სიკვდილიანობა (100000 მოსახლეზე)	24.9		
საყოფაცხოვრებო ჰაერის დაბინძურებით და გარემოს ჰაერის დაბინძურებით გამოწვეული სიკვდილიანობა (100 000 მოსახლეზე)	102		
საგზაო შემთხვევით გამოწვეული სიკვდილიანობა (100 000 მოსახლეზე)	15.3		
სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას (წლები)	72.6		
მოზარდთა ფერტილობა (დაბადებულები 1000 ქალზე)	46.4		
მშობიარობები, მიღებული კვალიფიცირებული პერსონალის მიერ (%)	99.9		
ჩვილთა წილი, რომლებსაც გაუკეთდა ჯანმო-ს მიერ რეკომენდებული 2 აცრა (%)	93		
საყოველთაო ჯანდაცვით მოცვის ინდექსი (0-100)	66		
სუბიექტური კეთილდღეობა (0-10)	4.9		

მაჩვენებელი	ტენდენცია
მგმ მიღწეულია	2030 წლისთვის მიზნის მიღწევის პროცესში
რჩება გამოწვევად	მაჩვენებელი ზომიერად იზრდება, არ არის საკმარისი მიზნის მისაღწევად
რჩება მნიშვნელოვან გამოწვევად	მაჩვენებელი არ იცვლება ან იზრდება საჭირო მნიშვნელობის 50%-ზე ნაკლებად
რჩება ძალზე მნიშვნელოვან გამოწვევად	მაჩვენებელი იკლებს
არ არის ინფორმაცია	არ არის ინფორმაცია

https://dashboards.sdgindex.org/static/countries/profiles/Georgia.pdf

Made with infogram

დემოგრაფია

2020	
ფართობი კმ²	69 700
ადმინისტრაციული დაყოფა	11 რეგიონი, 64 მუნიციპალიტეტი
დედაქალაქი	თბილისი
საშუალო წლიური მოსახლეობა	3 720 200
ქალები	51.8%
კაცები	48.2%
ქალაქის მოსახლეობა	59.0%
ეთნიკური შემადგენლობა (2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემები)	ქართველები - 86.8%, აზერბაიჯანელები - 6.3%, სომხები - 4.5%, სხვა - 2.4%
სარწმუნოება (2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემები)	მართლმადიდებელი ქრისტიანები - 83.4%, მუსლიმანები - 10.7%, სომხური სამოციქულო ეკლესიის მიმდევრები - 2.9%, კათოლიკეები - 0.5%
სახელმწიფოებრივი ფორმა	საპარლამენტო რესპუბლიკა
დამოუკიდებლობა	1991 წლიდან
ფულის ერთეული	ლარი
საერთაშორისო ორგანიზაციების წევრობა	UN, IMF, WHO, WB, WTO, სხვა.
მშპ 1 სულ მოსახლეზე, US$	4 274.6

Made with infogram

ძირითადი დემოგრაფიული მაჩვენებლები, საქართველო

	2017	2018	2019	2020
ცოცხალშობილთა რაოდენობა (1000 მოსახლეზე)	53 293 (14.3)	51 138 (13.7)	48 296 (13.0)	46 520 (12.4)
შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი	2.14	2.12	2.01	2.0
შობადობის მაჩვენებელი 20 წლამდე ასაკის 1000 ქალზე	36.2	32.0	29.4	27.3
ბუნებრივი მატება (1000 მოსახლეზე)	5 471 (1.5)	4 614 (1.2)	1 637 (0.4)	- 4 017 (-1.1)
გარდაცვლილთა რაოდენობა (1000 მოსახლეზე)	47 822 (12.8)	46 524 (12.5)	46 659 (12.5)	50 537 (13.6)
მკვდრადშობადობა (1000 დაბადებულზე)	506 (9.4)	438 (8.5)	457 (9.4)	410 (8.7)
სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას (წლები)	73.5	74.0	74.1	73.4
ქორწინება (1000 მოსახლეზე)	23 684 (6.4)	23 202 (6.2)	23 285 (6.3)	16 359 (4.4)
განქონწინება (1000 მოსახლეზე)	10 222 (2.7)	10 288 (2.8)	11 205 (3.0)	7 643 (2.1)
მიგრაციული მატება (მიგრაციული სალდო 1000 მოსახლეზე)	-2 212 (-0.6)	-10 783 (-2.9)	-8 243 (-2.2)	15 732 (4.2)

სტატისტიკის ეროვნული სამსახური

შობადობა

საქართველო, ისევე როგორც მრავალი ქვეყანა დგას დემოგრაფიული პრობლემების და მათგან გამოწვეული საფრთხის წინაშე. დღეისათვის, ქვეყანა იმყოფება მოსახლეობის აღწარმოების თანამედროვე ტიპიდან უახლეს ტიპზე გადასვლის ეტაპზე, რომლისთვისაც დამახასიათებელია შობადობის შემცირება და მოკვდაობის ზრდა, ხოლო ამ ყველაფრის ლოგიკური შედეგია ბუნებრივი მატების ტემპის შემცირება, რომელიც დეპოპულაციაში გადაიზრდება.

შობადობის მაჩვენებლები, საქართველო



Made with infogram

SDG 3.7.2-ის შესაბამისად, 2030 წლისთვის შობადობის მაჩვენებელი 1000 ქალზე მოზარდებში (10-14 წლის და 15-19 წლის) უნდა შემცირდეს 40%-ით (საქართველოში 2015 წელს ეს მაჩვენებელი 51.0 იყო). მსოფლიოში 2000 წელს მოზარდების შობადობის მაჩვენებელი 1000 ქალზე იყო 56, შემდგომ 2015 წლისთვის აღინიშნა მაჩვენებლის კლება 45-მდე და 2019 წელს გაუტოლდა 44-ს 1000 ქალზე[2]. 2020 წელს ეს მაჩვენებელი საქართველოში 29-ს უდრიდა, 2015-2020 წლებში კლებამ 43% შეადგინა.

20 წლამდე ასაკის ქალების მიერ გაჩენილი ცოცხალშობილი ბავშვების წილი ცოცხალშობილთა საერთო რაოდენობიდან, საქართველო



სტატისტიკის ეროვნული სამსახური

მოზარდთა შობადობის მაჩვენებელი, ყოფილი საბჭოთა კავშირისა და ევროპის ზოგიერთი ქვეყანა



https://data.worldbank.org/indicator/SP.ADO.TERT?most-recent_year_desc=true

[2] https://sustainabledevelopment.un.org/sdg3

Made with infogram

ბუნებრივი მატება

საქართველოში **2020** წელს დაფიქსირდა უარყოფითი ბუნებრივი მატება (მაჩვენებელი **1000** მოსახლეზე **-1.1**). დადებითი ბუნებრივი მატება აღინიშნა მხოლოდ **3** რეგიონში: აჭარაში, თბილისსა და ქვემო ქართლში.

ბუნებრივი მატების კოეფიციენტი 1000 მოსახლეზე, საქართველო



ბუნებრივი მატება რეგიონების და თვითმმართველი ერთეულების მიხედვით (კაცი)



რეგიონი, თვითმმართველი ერთეული	2020
საქართველო	**-4017**
თბილისის მუნიციპალიტეტი	**1393**
აფხაზეთის არ	**-**
აჭარის არ	**1346**
გურია	**-699**
იმერეთი	**-2716**
კახეთი	**-716**
მცხეთა-მთიანეთი	**-483**
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	**-505**
სამეგრელო-ზემო სვანეთი	**-1660**
სამცხე-ჯავახეთი	**-143**
ქვემო ქართლი	**638**
შიდა ქართლი	**-472**

Made with infogram

სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას, საქართველო



სტატისტიკის ეროვნული სამსახური

სიკვდილიანობა

2020 წელს საქართველოში გარდაიცვალა 50537 ადამიანი (სიკვდილიანობის მაჩვენებელი 1 000 მოსახლეზე - 13.6):





სიკვდილიანობის ზოგადი მაჩვენებელი 1000 მოსახლეზე, საქართველო



Made with infogram

სიკვდილიანობის სტრუქტურა, საქართველო 2020



გლობალურად არაგადამდებ დაავადებებზე სიკვდილიანობის ტვირთის 71% მოდის, საქართველოში - 80%.

არაგადამდებ დაავადებებთან დაკავშირებული ნაადრევი სიკვდილის რისკი (%), საქართველო, 2018



World Health Organization -Noncommunicable Diseases (NCD) Country Profiles, 2018

Made with infogram

დედათა და ბავშვთა ავადობა და სიკვდილიანობა

რეპროდუქციული ჯანმრთელობის ძირითადი მაჩვენებლები, საქართველო

	2015	2016	2017	2018	2019	2020
ანტენატალური 4 სრული ვიზიტით მოცვა	88.3%	81.2%	85.0%	81.0%	83.0%	85.2%
ანტენატალური 8 სრული ვიზიტით მოცვა	-	-	11%	22%	42%	34.9%
ანტენატალური 1 სრული ვიზიტი მაინც	99.5%	99.4%	94.4%	94.3%	95.3%	96.0%
ანტენატალური მომსახურებისთვის დროული მიმართვა	83.0%	85.0%	89.1%	89.0%	90.7%	86.7%
მშობიარობათა რაოდენობა	58830	55940	52660	50468	47571	45798
დროულად მშობიარობის წილი	82.1%	81.9%	86.8%	92.0%	91.7%	91.3%
ფიზიოლოგიური მშობიარობის წილი	55.0%	52.7%	52.4%	55.0%	58.0%	58.4%
ჩარევით მშობიარობათა (საკეირო კვეთა, მაშებითა და ვაკუუმ-ექსტრაქციით მშობიარობა და სხვა) წილი	45.0%	47.3%	47.6%	44.6%	42.0%	41.6%
კვალიფიციური სამედიცინო პერსონალის მიერ მიღებული მშობიარობების წილი	99.8%	99.9%	99.9%	99.9%	99.8%	99.8%
აბორტი	32428	28720	24937	22733	21559	19039
მათ შორის ხელოვნური აბორტის წილი	77%	74%	64%	62%	62%	61%

ანტენატალური მეთვალყურეობა

ანტენატალურ მეთვალყურეობაზე დროული (პირველ ტრიმესტრში) მიმართვიანობის წილი (%), საქართველო



Made with infogram

მოზარდთა ორსულობა (SDG 3.7.2) და მშობიარობა

მოზარდთა ორსულობის მაჩვენებლები (15-19 წლის 1000 ქალზე), საქართველო



საკეისრო კვეთა

2020 წელს საქართველოში საკეისრო კვეთით მიღებული მშობიარობების წილი **40,6%** შეადგენდა მშობიარობების საერთო რაოდენობაში.

საკეისრო კვეთა, მაჩვენებელი 1000 ცოცხლადშობილზე, საქართველო



Made with infogram

საკეისრო კვეთა, მაჩვენებელი 1000 ცოცხლადშობილზე, ბოლო ხელმისაწვდომი წელი[3]



https://data.oecd.org/healthcare/caesarean-sections.htm

საკეისრო კვეთა, საქართველო



3 გამოქვეყნდა 2021 წელს

Made with infogram



აბორტი

მსოფლიოში აბორტების დონის დათვლა საკმაოდ რთულია, ვინაიდან ბევრ ქვეყანაში არ ხდება აბორტების აღრიცხვა და, შესაბამისად, საერთაშორისო დონეზე ანგარიშგების წარდგენა. ეს განსაკუთრებით ეხება იმ ქვეყნებს, სადაც აბორტი აკრძალულია კანონმდებლობით. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის **193** წვეყნიდან **58**-ში აბორტი ლეგალიზებულია და კანონით მხოლოდ **7** ქვეყანაშია აკრძალული.



აბორტების მაჩვენებელი რეპროდუქციული ასაკის **1000** ქალზე საქართველოში შუალედურ პოზიციას იკავებს ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებს შორის და აღემატება განვითარებული ქვეყნების მაჩვენებლებს.

Made with infogram

აბორტების მაჩვენებელი რეპროდუქციული ასაკის 1000 ქალზე, 2020



https://worldpopulationreview.com/country-rankings/abortion-rates-by-country

ხელოვნური აბორტის ჯამობრივი კოეფიციენტი (TIAR), საქართველო





Made with infogram

დედათა სიკვდილიანობა (SDG 3.1.1)

დედათა სიკვდილიანობის გლობალური სამიზნე მაჩვენებელი **100 000** ცოცხალშობილზე **2030** წლისთვის - **<70-ზე (SDG 3.1.1)**

საქართველოს სამიზნე მაჩვენებელი **100 000** ცოცხლადშობილზე **2030** წლისთვის = **12**

დედათა სიკვდილიანობა 100 000 ცოცხლადშობილზე, საქართველო



დაავადებათა კონტროლის ცენტრი, საქსტატი

ვაშინგტონის უნივერსიტეტის ჯანმრთელობის გაზომვების და შეფასების ინსტიტუტის პროგნოზული გათვლებით, საქართველოში დედათა სიკვდილიანობის კლების ტენდენცია გაგრძელდება, თუმცა ქვეყნის მაჩვენებელი სავარაუდოდ **28.8**-ს **(CI 19.0-43.0)** მიაღწევს **100 000** ცოცხლადშობილზე.

დედათა სიკვდილიანობა, საქართველო (მაჩვენებელი 10-54 წლის ქალები 100 000 ცოცხლადშობილზე)



https://www.thelancet.com/lancet/visualisations/gbd-SDGs

Made with infogram

მკვდრადშობადობა

საქართველოში ბოლო წლების განმავლობაში მკვდრადშობადობის მაჩვენებელი შემცირდა: **2012-2020** წლების პერიოდში კლებამ **22,3%** შეადგინა; თუმცა, განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით მაჩვენებელი მაღალია.





Made with infogram

0-5 წლამდე ასაკის ბავშვთა ავადობა და სიკვდილიანობა

საქართველოში **0-5** წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელმა წარმატებით მიაღწია ათასწლეულის განვითარების მიზანს, როგორც ოფიციალური სტატისტიკის მონაცემებით, ასევე საერთაშორისო ექსპერტთა (ბავშვთა სიკვდილიანობის შეფასების გაეროს სააგენტოთაშორისი ჯგუფი - **IGME**) შეფასებებით.

0-5 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობა სხვადასხვა წყაროს მიხედვით, საქართველო



დაავადებათა კონტროლის ცენტრი, საქსტატი

0-5 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობის გლობალური სამიზნე მაჩვენებელი **1000** ცოცხლადშობილზე **2030** წლისთვის **=<25**-ზე **(SDG 3.2.1)**

საქართველოს სამიზნე მაჩვენებელი **1000** ცოცხლადშობილზე **2030** წლისთვის **= 6**

IHME-ს პროგნოზული გათვლებით, საქართველოში **0**-დან **5** წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი კლების ტენდენციას შეინარჩუნებს

Made with infogram

0-5 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი 1000 ცოცხლადშობილზე, საქართველო



http://www.thelancet.com/lancet/visualisations/gbd-SDGs

საქართველოში **0-5** წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი აღემატება ევროპის ქვეყნების მაჩვენებლებს, ხოლო ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების მაჩვენებლებს შორის შუალედურ პოზიციას იკავებს.

0-5 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობა 100000 ცოცხლადშობილზე, 2019



http://ghdx.healthdata.org/gbd-results-tool

Made with infogram

0-5 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობაში 70.2% ერთ წლამდე ბავშვებზე მოდის.

0-დან 1 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობა, საქართველო



0-დან 1 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობა 100000 ცოცხლადშობილზე, 2019



http://ghdx.healthdata.org/gbd-results-tool

Made with infogram

ნეონატალური სიკვდილიანობის გლობალური სამიზნე მაჩვენებელი **1000** ცოცხლადშობილზე **2030** წლისთვის = <12-ზე (**SDG 3.2.2**)

საქართველოს სამიზნე მაჩვენებელი **1000** ცოცხლადშობილზე **2030** წლისთვის = **5**

პერინატალური და ნეონატალური სიკვდილიანობა, საქართველო

	2017	2018	2019	2020
მკვდრადშობადობა **1000** დაბადებულზე	9.4	8.5	9.4	8.7
ადრეული ნეონატალური სიკვდილიანობა **1000** ცოცხალშობილზე	4.5	3.2	2.8	3.0
გვიანი ნეონატალური სიკვდილიანობა **1000** ცოცხალშობილზე	2.3	1.7	2.4	2.1
პერინატალური სიკვდილიანობა **1000** დაბადებულზე	13.8	11.7	12.1	11.7

ნეონატალური სიკვდილიანობა 100000 ცოცხლადშობილზე, 2019



http://ghdx.healthdata.org/gbd-results-tool

Made with infogram

მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება

ჯანდაცვის რესურსები, საქართველო

	2018	2019	2020
ექიმების რაოდენობა (სტომატოლოგების ჩათვლით)	30998	31746	25429
ექიმებით უზრუნველყოფა 100000 მოსახლეზე	831.9	853.3	683.1
საექთნო პერსონალის რაოდენობა	17862	19613	22126
ექთნებით უზრუნველყოფა 100000 მოსახლეზე	479.3	527.2	594.4
ჰოსპიტალური საწოლების რაოდენობა	15909	17471	18580
საწოლებით უზრუნველყოფა 100000 მოსახლეზე	426.9	469.6	499.4
მიმართვა ექიმთან	12067282	13469592	12807695
ექიმის ვიზიტი ბინაზე	190544	181889	152706
სტაციონარული დაწესებულებების რაოდენობა	273	266	265
პოლიკლინიკური დაწესებულებების რაოდენობა	2283	2280	2283
ანტენატალური სერვისების მიმწოდებელი დაწესებულებები	352	291	307
სასწრაფო დახმარების სადგურების რაოდენობა	73	71	78
სისხლის გადასხმის სადგურების რაოდენობა	20	22	20
სოფლის ექიმი-მეწარმეს რაოდენობა	1267	1269	1265

საქართველოში ექიმებით უზრუნველყოფის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად აღემატება ევროპის რეგიონის, ევროკავშირის და დსთ ქვეყნების მაჩვენებლებს. საქართველოში ექთნებით უზრუნველყოფის მაჩვენებლები თითქმის ყველაზე დაბალია ევროპის რეგიონის და დსთ-ს ქვეყნებთან შედარებით.

ექიმებით და ექთნებით უზრუნველყოფა 1000 მოსახლეზე (ბოლო ხელმისაწვდომი წელი)[4]





https://data.oecd.org/healthres/nurses.htm

ევროპის რეგიონის და ევროკავშირის ქვეყნებში ერთ ექიმზე საშუალოდ 2-2.7 ექთანი მოდის და ამ მაჩვენებლის ზრდა პოზიტიურ ტენდენციად არის მიჩნეული. საქართველოში ეს მაჩვენებელი 0.9-ს შეადგენს.

[4]საქართველო 2020

Made with infogram

ექიმების რაოდენობა რეგიონების მიხედვით, საქართველო, 2020



მიმართვათა რაოდენობა ერთ სულ მოსახლეზე, საქართველო



ჰოსპიტალიზაციის და საწოლთა ფონდის გამოყენების მაჩვენებლები, საქართველო, 2019 და 2020

	საწოლთა რაოდენობა	უზრუნველყოფა 100000 მოსახლეზე	დატვირთვა	დაყოვნება	ბრუნვა
2019	17471	469.6	179.5	4.9	36.5
2020	18580	499.4	190.7	5.6	34.0

მოსახლეობის სტაციონარული მომსახურება, საქართველო, 2019 და 2020 (ჰოსპიტალიზაციათა მაღალი რიცხოვნობის დაავადებათა კლასები)

	ჰოსპიტალიზაციათა რაოდენობა	
	2019	2020
სულ	545216	545246
სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებები	102515	93749
სასუნთქი სისტემის დაავადებები	118553	80750
COVID 19	-	45344
საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებები	44179	42698
დაზიანება, მოწამვლა და გარე მიზეზების ზემოქმედების შედეგები	37609	35823
შარდ - სასქესო სისტემის დაავადებები	26452	24887
კიბო	23723	24584
ფსიქიკური დაავადებები	11402	11564
დიაბეტი	2597	2604

ჰოსპიტალური რეგისტრის და საყოველთაო ჯანდაცვის მონაცემების გაერთიანებული ბაზა

Made with infogram

ქირურგიული ოპერაციების რაოდენობა სტაციონარში, საქართველო, 2019 და 2020

ქირურგიული ჩარევები ანატომიური ლოკალიზაციის მიხედვით	2019	2020
სულ	239119	166531
მათ შორის:		
ნერვული სისტემა	6737	6472
თავის ტვინი	2631	2623
ზურგის ტვინი	3483	3238
პერიფერიული ნერვული სისტემა	609	594
ენდოკრინული სისტემა	3101	2131
ფარისებრი ჯირკვალი	2984	2007
პარათირეოიდექტომია	60	48
თვალი და მისი დანამატები	38375	5849
გლაუკომის მიზეზით	1714	356
კატარაქტის მიზეზით	6567	2538
ყური, ცხვირი და ყელი	11719	8132
გული და გულმკერდის მთავარი სისხლძარღვები	15160	15091
სამკარიანი სარქველი	51	82
კორონარული არტერიების შუნტირება	2741	2140
სტენტირება	6672	8365
გულმკერდის კედელი, პლევრა, შუასაყარი, დიაფრაგმა, ტრაქეა, ბრონქები და ფილტვები	2443	1818
სარძევე ჯირკვალი	3376	2829
საჭმლის მომნელებელი სისტემა	43010	35224
შარდსასქესო სისტემა, კაცის სასქესო ორგანოები და რეტროპერიტონეალური სივრცე	14153	11953
თირკმლის გადანერგვა	13	8
წინამდებარე ჯირკვალი	1843	1255
ქალის სასქესო ორგანოები	16495	13157
სამეანო პროცედურები	23220	17892
ძვალკუნთოვანი სისტემა	25310	22883
პერიფერიული სისხლძარღვები და ლიმფური სისტემა	7969	6379
კანი	8573	6258
ორგანოების და ქსოვილების შეძენა ტრანსპლანტაციისთვის	44	40

ჰოსპიტალური რეგისტრის და საყოველთაო ჯანდაცვის მონაცემების გაერთიანებული ბაზა

Made with infogram

სასწრაფო სამედიცინო დახმარება

2019 სასწრაფო-სამედიცინო დახმარების მიერ განხორციელებული გასვლების რაოდენობა = **1 526 434** (1 სულ მოსახლეზე - **0.4**)

2020 სასწრაფო-სამედიცინო დახმარების მიერ განხორციელებული გასვლების რაოდენობა = **1 215 839** (1 სულ მოსახლეზე - **0.3**)

სისხლის ბანკები

- **2019** ლიცენზირებული სისხლის ბანკების რაოდენობა = **22**
  სისხლის დონაციების რაოდენობა = **82 048** (**32.9%** - უანგარო)
- **2020** ლიცენზირებული სისხლის ბანკების რაოდენობა = **20**
  სისხლის დონაციების რაოდენობა = **75 199** (**31,8%** - უანგარო)

იმუნიზაცია

იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამის ბიუჯეტი (ათასი ლარი)



საქართველოს იმუნიზაციის კალენდარი

ვაქცინები	დოზების რაოდენობა	ჩატარების დრო
ბცჟ (BCG)	1	ახალშობილები 0-5 დღე
B0 ჰეპატიტი (HepB)	1	დაბადებიდან 0-12 საათში
დყტ+ B ჰეპ+ჰი b +იპვ (Hib+DPaT+HepB+IPV)	3	2, 3, 4 თვე
პოლიომიელიტის ორალური ვაქცინა (bOPV)	2	18 თვე, 5 წელი
დიფთერია, ყივანახველა, ტეტანუსი (DPT)	3	18 თვე
დიფთერია-ტეტანუსი (DT)	1	5 წელი
ტეტანუსი-დიფთერია (TD)	1	14 წელი
წითელა, წითურა, ყბაყურა (MMR)	2	12 თვე, 5 წელი
როტავირუსული ინფექციის საწინააღმდეგო ვაქცინა (Rota)	2	2, 3 თვე
პნევმოკოკური ინფექციის საწინააღმდეგო ვაქცინა (PCV)	3	2, 4, 12 თვე
ადამიანის პაპილომავირუსუს საწინააღმდეგო ვაქცინა (აპვ/HPV)	2	10-11-12 წლის კოჰორტა

Made with infogram

2002 წლიდან საქართველო სერთიფიცირებულია, როგორც ველური პოლიომიელიტის ვირუსისგან თავისუფალი ქვეყანა.
2019 წელს საქართველომ მიაღწია წითურას ელიმინაციას.

ბოლო წლებში იმუნიზაციის კალენდარს 6 ახალი ვაქცინა დაემატა:

- 2013 -- **Rota** ვირუსის საწინააღმდეგო ვაქცინა
- 2014 -- **PCV10**
- 2015 -- პენტავალენტური**DPT-HepB-Hib** ვაქცინა ჩანაცვლდა ჰექსავალენტური**DPT-HepB-Hib-IPV** ვაქცინით
- 2016 -- ბივალენტური ორალური პოლიოვაქცინა(**bOPV**)
- 2017 -- **HPV** ვაქცინაცია საქართველოს **4** ტერიტორიულ რეგიონში (თბილისი, ქუთაისი, აჭარა, აფხაზეთი)
- 2019 -- **HPV** ვაქცინაცია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე
- 2020 -- ივლისიდან - **bOPV, DPT** და **DT** ვაქცინები ჩანაცვლდა ტეტრავალენტური ვაქცინით (**DaPT-IPV**)
- 2021 -- **15** მარტიდან ქვეყანაში დაიწყო **Covid-19**-ის საწინააღმდეგო ვაქცინაცია.

The European Regional Verification Commission for Measles and Rubella Elimination (RVC)

convened by the World Health Organization Regional Office for Europe has verified that

Georgia

has achieved rubella elimination for the period January 2017 – December 2019.

This achievement, which will be reviewed annually, greatly contributes to the goal of eliminating measles and rubella throughout the European Region.

17 September 2020

On behalf of the European Regional Verification Commission for Measles and Rubella Elimination

Dr Gunter Pfaff
Chair

იმუნიზაციით მოცვა (%), საქართველო



Made with infogram

ინფექციური ავადმყოფობები

COVID-19

2019 წლის დეკემბერში ქალაქ ვუჰანში (ჰუბეის პროვინცია, ჩინეთი) წარმოშობილი მწვავე მძიმე რესპირატორულ სინდრომთან დაკავშირებული კორონავირუსი 2, რომელსაც COVID-19 ეწოდა, 21-ე საუკუნის მესამე ზოონოზური კორონავირუსული აფეთქებაა, როდესაც ინფექციის ადამიანიდან ადამიანზე გადაცემა მოხდა და წარმოიქმნა ჯანმრთელობის გლობალური პრობლემა.

საქართველოში COVID-19-ის გამოსავლენად PCR მეთოდის გამოყენებით ტესტირება დაიწყო 2020 წლის 30 იანვარს. 2020 წლის მაისიდან PCR ტესტირებასთან ერთად ქვეყანამ დაიწყო ანტისხეულებსა და ანტიგენზე დაფუძნებული ტესტირება გარკვეულ ჯგუფებში, თუმცა შემთხვევის დადასტურება მხოლოდ PCR ტესტირებით ხორციელდებოდა. 12 ნოემბრიდან COVID-19-ის შემთხვევის დადასტურებისთვის ქვეყანამ დაიწყო ანტიგენზე დაფუძნებული ტესტირება Ag-RDTs ტესტ სისტემებით, რომელიც ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ კვალიფიცირებულ იქნა, როგორც მაღალი მგრძნობელობის და სპეციფიურობის, ცრუ დადებითი ან უარყოფითი შედეგის მინიმალური რისკით.

საქართველოში COVID-19-ის პირველი შემთხვევა დადასტურდა 2020 წლის 26 თებერვალს. COVID-19-ით დაავადებული პირველი პაციენტი ჰოსპიტალიზებულ იქნა 2020 წლის 26 თებერვალს, პირველი გამოჯანმრთელებული პაციენტი კლინიკიდან გაეწერა 16 მარტს.

2021 წლის 1 ივლისის მდგომარეობით:

- ჩატარებული ტესტების ჯამური რაოდენობა - 6015070 (3055418 ტესტი 100 000 მოსახლეზე)
- PCR ტესტირება – 3055418 (82075 ტესტი 100 000 მოსახლეზე)
- ანტიგენზე დაფუძნებული ტესტირება - 2959652 (79502 ტესტი 100 000 მოსახლეზე)
- დადასტურებული შემთხვევების რაოდენობა - 367058
- სრული დადებითობის მაჩვენებელი - 6.1%
- კუმულაციური ინციდენტობის მაჩვენებელი 100 000 მოსახლეზე - 9364
- აცრილთა რაოდენობა - 265290, სრულად აცრილთა რაოდენობა - 103170
- გამოჯანმრთელებულთა ჯამური რაოდენობა - 352624 (96%)
- სიკვდილი - 5327 (ლეტალობის მაჩვენებელი 1.4%)
- აქტიური შემთხვევა - 9081

Made with infogram

COVID-19 დადასტურებული შემთხვევები, საქართველო, 01/07/2021



PCR და ანტიგენ ტესტების რაოდენობა დღიურად, 01/07/2021

აცრილთა რაოდენობა, საქართველო, 01/07/2021



Made with infogram

Covid 19 დადასტურებული შემთხვევების განაწილება რეგიონების მიხედვით (%) 2020-2021 წლები



წითელა

საქართველოში წითელა სავალდებულო რეგისტრაციას და ეპიდზედამხედველობას ექვემდებარება. ქვეყანაში წითელათი ავადობის მნიშვნელოვანი მატება **2004** და **2013** წლებში დაფიქსირდა. **2013** წლის პიკი განპირობებული იყო **2008** წელს მასობრივი იმუნიზაციის კამპანიის წარუმატებლობით, აღნიშნულმა ხელი შეუწყო მოსახლეობის არაიმუნური ფენის დაგროვებას, რაც წითელათი ავადობის ეპიდემიური მატების პირობა გახდა. ავადობის ტვირთი, ძირითადად, **1** წლამდე და**15-30** წლის ასაკის მოსახლეობაში დაფიქსირდა.

2013 წლიდან, ეპიდემიის გავრცელების შეკავების მიზნით, განხორციელდა დამატებითი კამპანიური ღონისძიებები: **14** წლამდე ასაკის ბავშვთათვის წითელას საწინააღმდეგო აცრების კურსის დასრულება და დამატებითი აცრის ჩატარება **15-30** წლის ასაკის მოსახლეობის, სამედიცინო მუშაკებისა და სხვა სპეციფიკური კონტინგენტისთვის. **2013-2015** წლებში წითელა-წითურა-ყბაყურას საწინააღმდეგო ვაქცინის დამატებითი დოზა დაახლოებით **150 000** მოქალაქემ მიიღო. შედეგად, ქვეყანაში წითელათი ავადობამ მნიშვნელოვნად იკლო. **2019** წლის დასაწყისში, როგორც ევროპის უმრავლეს ქვეყნებში, აღინიშნა წითელას ეპიდაფეთქება, რომლის მართვა წარმატებით მოხერხდა, ჩატარდა **170000** ადამიანის დამატებითი იმუნიზაცია. ამ კამპანიის შედეგად, **2020** წელს წითელას სულ **20** შემთხვევა დაფიქსირდა.

წითელა, ინციდენტობა 100 000 მოსახლეზე , საქართველო



Made with infogram

ადამიანთა ცოფით დაავადების ნულოვანი მაჩვენებელი პირველად იქნა მიღწეული **2015** წელს, რომელიც **2016-2017** წლებშიც იქნა შენარჩუნებული. **2020** წელს საქართველოში ჰიდროფობიის შემთხვევა არ დაფიქსირებულა.



ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელება



Made with infogram

ჰეპატიტი C

საქართველო C ჰეპატიტის მაღალი გავრცელების მქონე ქვეყნებს მიეკუთვნება.

C ჰეპატიტის ინციდენტობა100 000 მოსახლეზე, საქართველო



C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის მკურნალობის კასკადი, საქართველო, 2020



Made with infogram

აივ-შიდსი

აივ ინფექცია/შიდსის გავრცელების თვალსაზრისით საქართველო დაბალი პრევალენტობის ქვეყნებს მიეკუთვნება.





Made with infogram

აივ ინფიცირებულთა განაწილება გადაცემის გზების მიხედვით (%), საქართველო, 2020



ტუბერკულოზი

სახეზეა საქართველოში მნიშვნელოვანი პროგრესი ტუბერკულოზთან ბრძოლაში. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ტუბერკულოზის პრევალენტობა შემცირდა დაახლოებით 9%-ით. ეპიდზედამხედველობის სისტემის მონაცემებით, ეს ტენდენცია დაავადების ინციდენტობის ჭეშმარიტი კლების შედეგია. აღსანიშნავია, რომ 2019 წელს აჭარის რეგიონი შეუერთდა „ნულოვანი ტუბერკულოზის ინიციატივას"; ასევე შემუშავდა და დაინერგა ტუბერკულოზის მართვის განახლებული გაიდლაინი.

ტუბერკულოზით ავადობა 100 000 მოსახლეზე, საქართველო



IHME-ს პროგნოზული გათვლებით, საქართველოში ტუბერკულოზით ავადობის კლების ტენდენცია შენარჩუნდება.

Made with infogram

ტუბერკულოზის ინციდენტობა 100 000 მოსახლეზე, საქართველო



http://www.thelancet.com/lancet/visualisations/gbd-SDGs

გლობალური ფონდის დახმარებით საქართველომ მოახერხა ეფექტური ანტი-TB მკურნალობის დანერგვა როგორც სენსიტიური, ასევე MDR პაციენტებისთვის. ქვეყანამ უზრუნველყო როგორც პირველი რიგის, ასევე მეორე რიგის მედიკამენტების საყოველთაო ხელმისაწვდომობა. ახალი ანტიტუბერკულოზური პრეპარატები ხელმისაწვდომია სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, დანერგილია მედიკამენტების უსაფრთხოების მონიტორინგის სისტემა. ბოლო წლებში მულტირეზისტენტული ტუბერკულოზის მართვაში წინგადადგმული ნაბიჯია, რაც გამოიხატება ახალი მედიკამენტების გამოყენებაში.

მალარია

მალარიის ინციდენტობის მაჩვენებელი **2013-2014** წლებში ნულს გაუტოლდა.

მალარიის ინციდენტობა 100 000 მოსახლეზე, საქართველო



Made with infogram

არაგადამდები დაავადებები

საქართველოში დაავადებათა ტვირთის უდიდესი ნაწილი არაგადამდებ დაავადებებზე მოდის, რაც დიდ გავლენას ახდენს სიცოცხლის ყველაზე პროდუქტიულ წლებზე. არაგადამდები დაავადებები გავლენას ახდენს არა მხოლოდ ჯანმრთელობაზე, არამედ ქვეყნის მდგრად განვითარებაზეც.

არაგადამდებ დაავადებათა ეფექტური კონტროლის მიზნით საქართველოში დაინერგა ჯანმო-ს STEPS მეთოდოლოგია; 2010 და 2016 წლებში ჩატარდა STEPS კვლევები.

2017 წლიდან ამოქმედდა ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ვრცელდება შემდეგ დაავადებებზე: გულ-სისხლძარღვთა ქრონიკული დაავადებები; ფილტვის ქრონიკული დაავადებები; II ტიპის დიაბეტი; ფარისებრი ჯირკვლის დაავადებებები; ეპილეფსია; პარკინსონის დაავადება.

სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებები

2020 წელს საქართველოში სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებების წილი ყველა დაავადების 15.3%, ხოლო ახალი შემთხვევების 7.4%-ს შეადგენს.

სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებებით ჰოსპიტალიზაციის მაჩვენებლები 100 000 მოსახლეზე, საქართველო



Made with infogram

არაგადამდებ დაავადებათა რისკ-ფაქტორების კვლევების STEPS მონაცემებით, ჰიპერტენზია მოსახლეობის 33-38%-ში აღირიცხა.

2020 წელს სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებათა კლასის სტრუქტურა:

- ჰიპერტენზია - 53%
- გულის იშემიური დაავადება - 14.2%
- ცერებროვასკულური დაავადებები - 4%

სისხლის მიმოქცევის სისტემის ავადმყოფობების ახალი შემთხვევეის სტრუქტურა (%), საქართველო



2020 წელს ჩატარებული კარდიო-ქირურგიული ოპერაციები:

- სულ - 15091
- შუნტირების ოპერაცია - 2140
- კორონარული არტერიების სტენტირება - 8365
- სამკარიანი სარქვლის პროთეზირება - 82
- რითმოგენული ოპერაცია - 860
- პეისმეიკერის იმპლანტირება - 716
- კარდიო-ვერტერ დეფიბრილატორის იმპლანტირება - 144
- აბლაცია - 2

Made with infogram

შაქრიანი დიაბეტი

უკანასკნელ წლებში საქართველოში აღინიშნება შაქრიანი დიაბეტით ავადობის კლების ტენდენცია.

შაქრიანი დიაბეტის ინციდენტობა 100 000 მოსახლეზე, საქართველო 2018-2020



რესპირაციული სისტემის ქრონიკული დაავადებები

რესპირაციული სისტემის ქრონიკული დაავადებების (ასთმა, სასუნთქი სისტემის ალერგიული დაავადებები, ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული დაავადებები, ფილტვის პროფესიული დაავადებები, პულმონარული ჰიპერტენზია) ჯგუფი სასუნთქი სისტემის დაავადებების ძირითად ნაწილს შეადგენს. **2020** წელს ფილტვის ქრონიკული დაავადებების **11761** ახალი შემთხვევა აღირიცხა (ინციდენტობის მაჩვენებელი **100 000** მოსახლეზე- **315.9**).

რესპირაციული სისტემის დაავადებები, საქართველო

	2019		2020	
დიაგნოზი	**ახალი შემთხვევები**	**ინციდენტობა 100000 მოსახლეზე**	**ახალი შემთხვევები**	**ინციდენტობა 100000 მოსახლეზე**
რესპირაციული სისტემის დაავადებები	362989	9810.5	334549	8986.7
ზედა სასუნთქი გზების ქრონიკული დაავადებები	5707	154.2	14055	377.5
ქვედა სასუნთქი გზების ქრონიკული დაავადებები	11414	308.5	11761	315.9
მათ შორის:				
ასთმა და ასთმური სტატუსი	95	2.6	1463	39.3
ფქოდი	11319	305.9	10298	276.6

Made with infogram

ავთვისებიანი ახალწარმონაქმნები

ონკოლოგიურ დაავადებათა ეპიდზედამხედველობის გაუმჯობესების მიზნით საქართველოში 2015 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედდა კიბოს პოპულაციური რეგისტრი, 2019 წელს შეიქმნა კიბოს ერთიანი საინფორმაციო სისტემა, რომელმაც გააერთიანა კიბოს სკრინინგის, კიბოს რეგისტრის და ლაბორატორიული მონაცემები.

ავთვისებიანი ახალწარმონაქმნები, ინციდენტობა 100000 მოსახლეზე, საქართველო



2020 წელს ყველა ლოკალიზაციის კიბოს ახალი შემთხვევების სქესობრივ/ასაკობრივი სტრუქტურა:





Made with infogram

2015-2020 წლებში დაავადების I და II სტადიებზე რეგისტრირებულია ყველა ლოკალიზაციის კიბოს ახალი შემთხვევების 41.6%; III და IV სტადიებზე რეგისტრირებული დაავადებების წილი კვლავ მაღალია (41.4%).

ქალებში რეგისტრირებული ავთვისებიანი ახალწარმონაქმნების 5 ყველაზე მაღალი ავადობის მქონე ლოკალიზაცია, საქართველო, 2020

ლოკალიზაცია	ახალი შემთხვევების რაოდენობა	წილი ქალებში რეგისტრირებული ყველა ლოკალიზაციის კიბოს ახალი შემთხვევების საერთო რაოდენობაში (%)
სარძევე ჯირკვალი	1457	28.7
ფარისებრი ჯირკვალი	670	13.2
კოლორექტული	313	6.2
საშვილოსნოს ტანი	309	6.1
საშვილოსნოს ყელი	290	5.7

კაცებში რეგისტრირებული ავთვისებიანი ახალწარმონაქმნების 5 ყველაზე მაღალი ავადობის მქონე ლოკალიზაცია, საქართველო, 2020

ლოკალიზაცია	ახალი შემთხვევების რაოდენობა	წილი კაცებში რეგისტრირებული ყველა ლოკალიზაციის კიბოს ახალი შემთხვევების საერთო რაოდებობაში (%)
ტრაქეა, ბრონქი, ფილტვი	572	13.4
წინამდებარე ჯირკვალი	502	11.7
შარდის ბუშტი	384	9.0
კოლორექტული	382	8.9
ხორხი	223	5.2

Made with infogram

ავთვისებიანი ახალწამონაქმნების ახალი შემთხვევების განაწილება დაავადების სტადიის მიხედვით (%), საქართველო



ავთვისებიანი სიმსივნეების მკურნალობა[5], საქართველო, 2020

მკურნალობის მეთოდები	პაციენტთა რაოდენობა	% ახალი შემთხვევების საერთო რაოდენობიდან
ქირურგიული მკურნალობა	**4711**	**50.3**
ქიმიოთერაპია / ჰორმონოთერაპია	**2941**	**31.4**
სხივური თერაპია	**1575**	**16.8**
სიმპტომური მკურნალობა	**496**	**5.3**
იოდოთერაპია	**432**	**4.6**
პალიატიური მკურნალობა	**307**	**3.3**
იმუნოთერაპია	**35**	**0.4**

საქართველოში ხუთწლიანი გადარჩენის მაჩვენებელი კიბოს ყველა ლოკალიზაციისთვის საერთაშორისო მაჩვენებლებთან შედარებით დაბალია: **2016-2020** წლებში ყველა ლოკალიზაციის კიბოსთვის ხუთწლიანი გადარჩენის მაჩვენებელმა **55.7%** შეადგინა.

2020 წელს, საქართველოში, კიბოს დიაგნოზით გარდაიცვალა **8024** ადამიანი, მათ შორის ტრაქეა, ბრონქის, ფილტვის კიბოზე **15%** და სარძევე ჯირკვლის კიბოზე **10%** მოდის.

[5] კიბოს პოპულაციური რეგისტრის და სოციალური მომსახურების სააგენტოს შეჯერებული მონაცემები

Made with infogram

ხუთწლიანი გადარჩენის მაჩვენებლები, საქართველო, 2016-2020

ლოკალიზაცია	5 წლიანი გადარჩენის მაჩვენებელი (%)
ფარისებრი ჯირკვალი	97.1
In situ	94.8
სარძევე ჯირკვლის ავთვისებიანი სიმსივნე	75.9
სათესლე ჯირკვალი	75.7
კანის სხვა კიბო	70.4
საშვილოსნოს ტანი	70.2
საშვილოსნოს ყელი	65.0
თირკმელი	62.5
წინამდებარე ჯირკვალი	58.2
შარდის ბუშტი	57.6
ლიმფოიდური, ჰემოპოეზური და მონათესავე ქსოვილების ავთვისებიანი სიმსივნეები	56.1
ძვლისა და სასახსრე ხრტილის ავთვისებიანი სიმსივნეები	53.6
საკვერცხე	48.3
სასუნთქი სისტემის და გულმკერდის ღრუს ორგანოები	46.0
ვულვა	45.2
მელანომა	43.7
ტუჩის, პირის ღრუსა და ხახის ავთვისებიანი სიმსივნეები	43.6
კოლორექტუმი	43.3
თვალის, თავის ტვინისა და ცენტრალური ნერვული სისტემის სხვა ნაწილების ავთვისებიანი სიმსივნეები	36.2
მეზოთელური და რბილი ქსოვილები	31.9
წვრილი ნაწლავი	25.0
კუჭი	22.8
გაურკვეველი, მეორადი და დაუზუსტებელი ლოკალიზაციის ავთვისებიანი სიმსივნეები	20.4
ბილიარული ტრაქტი	19.4
პანკრეასი	14.0
ტრაქეა, ბრონქი, ფილტვი	13.9
საყლაპავი მილი	13.3
ღვიძლისა და ღვიძლშიდა სანაღვლე გზები	9.7
ნაღვლის ბუშტი	8.9
ყველა ლოკალიზაცია	55.8

Made with infogram

ტერმინთა შემოკლებები

GDI	Gender Development Index	გენდერული განვითარების ინდექსი
GII	Gender Inequality Index	გენდერული უთანასწორობის ინდექსი
HPV	Human Papillomavirus	ადამიანის პაპილომა ვირუსი
HDI	Human Development Index	ადამიანის განვითარების ინდექსი
HDRO	Human Development Reports Office	ადამიანის განვითარების ანგარიშების ოფისი
IGME	Inter-agency Group for Child Mortality Estimation	ბავშვთა სიკვდილიანობის შეფასების გაეროს სააგენტოთაშორისი ჯგუფი
IHDI	Inequality-adjusted Human Development Index	უთანასწორობასთან შეჭიდული ადამიანის განვითარების ინდექსი
IHME	Institute for Health Metrics and Evaluation	ვაშინგტონის უნივერსიტეტის ჯანმრთელობის გაზომვების და შეფასების ინსტიტუტი
IMF	International Monetary Fund	საერთაშორისო სავალუტო ფონდი
IPV	Inactivated Polio Vaccine	ინაქტივირებული პოლიო ვაქცინა
MDG	Millennium Development Goals	ათასწლეულის განვითარების მიზნები
MDR-TB	Multi Drug Resistant TB	მულტირეზისტენტული ტუბერკულოზი
MPI	Multidimensional Poverty Index	სიღარიბის მრავალგანზომილებიანი ინდექსი
NCD	Noncommunicable Diseases	არაგადამდები დაავადებები
PCR	Polymerase chain reaction	პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქცია
SDG	Sustainable Development Goals	მდგრადი განვითარეგბის მიზნები
TB	Tuberculosis	ტუბერკულოზი
UN	United Nations	გაერთიანებული ერების ორგანიზაცია
WHO	World Health Organization	ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია
WTO	World Trade Organization	ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია

Made with infogram

ბროშურა მომზადდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს ლევან საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის სამედიცინო სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ

გამოქვეყნებული მასალებით სარგებლობისთვის სპეციალური ნებართვა საჭირო არ არის. სასურველია წყაროს მითითება.

გამოცემასთან დაკავშირებულ საკითხებზე მიმართეთ შემდეგ მისამართზე:

თბილისი, კახეთის გზატკეცილი **N99**, დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, სამედიცინო სტატისტიკის დეპარტამენტი
E-mail: pr.ncdc@ncdc.ge
ბროშურა განთავსებულია: www.ncdc.ge

გაიცემა უფასოდ

Made with infogram